



სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის  
წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)

დადგენილება № 01-06-02/31

ქ. თბილისი


6 აგვისტო 2021

სტუ-ის სარგებლობაში არსებული ფართობის იჯარით გაცემის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 და 85-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 და 45-ე მუხლების, სტუ-ის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის (კანცლერი) 2021 წლის 6 აგვისტოს №0000776688 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2021 წლის 6 აგვისტოს №01-06-02/09 ოქმის საფუძველზე, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონით დადგენილი წესით, კვების ობიექტის მოწყობის მიზნით, 5 წლის ვადით, იჯარით გასცეს ქ. თბილისში, მ. კოსტავას №68-ში მდებარე უნივერსიტეტის პირველი სასწავლო კორპუსის მიმდებარედ არსებული 25 კვ.მ. ფართობი;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)  
სპიკერი, პროფესორი

  
ჯემალ გახოკიძე